ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 335 1918 წ. პარასკევი სექტემბრის 20. № 335

**რუსეთის მთავრობისაგან დეპეშა მოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.— სექტემბრის დამლევს უკრაინიდან [illegible] საქართველოს ქალაქებისათვის და გირვანქა პური მანეთ ნახევრად გაიყიდება.—ქუთაისში გარდაიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.—გერმანელებმა ამერიკელების ჰაეროპლანები გაანადგურეს.**

---


ნინო ასამბაძე, შუშანიკა ქართველიშვილი, ციციკო სოხაძე და ლიდა ლეჟავა განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს უძვირფასესი მეგობრის

**ვერა ვარაზაშვილის**

უდროოდ დაკარგვას. 2038

---

სოფრომ და მანიჟან ვა აზაშვ ლები შვილებით გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი რძალი

**ვერა იოსების ასული ვარაზაშვილისა**

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ცხრუკეთში (შორაპნის მაზრა) სექტემბრის 21 ს შაბათს, დილის 11 საათზე. 2041

---

ტრაღიკულად დახოცილნი სოფელ ლეთეოში (გორის მაზრა)

**ალექსანდრე დავითის ძე, ელენე ზაზას ასული, შალვა, ანა და გ გალე ციციშვილების**

½ წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 21 ამ თვისას ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 სათ., რასაც აცხადებენ: გიორგი (პაშა) ალექსანდრეს ძე ციციშვილი, მარია ალექსანდრეს ასული და ვასილ გაბრიელის ძე ხოზბერაშვილები, ანა ზაზას ასული ავალიშვილისა, სოფიო (კონა) ზაზას ასული ჯავროვ ს, ელენე და ნინა გაბრიელ. ასულნი ხოზბეროვისანი. 2039

---

ღრმად დამწუხრებულნი ნატალია დავითის ასული და შვილები არჩილ და ლოლა ამით აცხადებენ, რომ შაბათს სექტემბრის 21 დილის 11 საათზე გარდაცვალებიდან 7 დღის თავზე გარდახდილ იქნება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში პანაშვიდი

**ვასილ მიხეილის ძე თუხარელის**

სულის მოსახსენებლად. 2040

---

ღრმად დამწუხრებული მშობლები ბესარიონ მიხეილის ძე და სოფიო (ციტუ) ალექსანდრეს ასული ჩიჩუა შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ძვირფასი მოსწრებული მათი ქალიშვილის

**ვალენტინა ბესარიონის ასული ჩიჩუას**

სულის მოსახსენებლად კვირას სექტემბრის 22-ს გარდახდილ იქნება 40 დღის წირვა და წირვის შემდეგ 11 საათზე პანაშვიდი 2045.

---

გიორგი ყარალაშვილი და მეუღლე მისი მარიამ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა დაუვიწყარის შვილის

**ლევანის**

გარდაცვალებას ქ თელავში. პანაშვიდი სექტემბრის 19-ს დილის 9 საათზე და საღამოს 7 ს. მიცვალებული გამოსვენებულ იქნება თელავის სობოროში სექტემბრის 20. წირვის შემდეგ გაასვენებენ ს.ართანაში. 1328

---

ექიმი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია თავისი პატარა ვაჟით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა და დაუვიწყარის მეუღლის

**კატუშას**

უდროოდ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა მოხდება სექტემბრის 21-ს მარტვილის მონასტერში. 2043.

---

## სახელმწიფო თეატრი

1918—19 წლის საოპერო სეზონი ნ. ლ. ლევიცკის დირექცია

პარასკევს, სექტემბრის 20-ს

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ ბიზეს მუსიკა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: სლიტკოსი, გორინსკისა, გედევანიშვილისა, ვლადისა; ბ.ბ. ბერეზინი, ზუბარევი, ისეცკი, ინაევი, კურბატოვი, ეზროვი.

დირიჟორი: ჩერეპნინი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 საათიდან სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: შაბათს, სექტემბრის 21-ს „ტანჰეიზერი", კვირას 22-ს „რიგოლეტო", ორშაბათს 23-ს „ევგენი ონეგინი". 1314

---

## კაზაფხულო კაფე-რესტორანი „ამირანი"

(ვერის დაღმართი, მელიქ-აზარიანცის ბაღი)

ღიაა დილის 10 საათიდან ღამის 11 საათამდე, საუზმე, სადილი, ვახშამი, ჩაი, ყავა და სხვ. სამშაბათობით და პარასკეობით უკრავს საზანდარი. ოთხშაბათობით და შაბათობით ველიკორუსული ორკესტრი შჩეგლოვის ლოტბარობით კვირადღეობით აზიური სადილი და საზანდარი. 2042

---

გამოვიდა № 1.

გაზეთი „კლდე" ორგანო

დამოუკიდებელი ნაციონალ დემოკრატიული პარტიის

მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

2037

---

**განცხადება** ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინიგზის სამართველო აუწყებს უკვე შემდგარ არტელს, ანუ პირთ რომლებსაც შეუძლიანთ შეადგინონ პასუხისმგებელი და ძლიერი არტელი სათანადო წინდით. არტელმა უნდა აწარმოოს, როგორც მთავარი ისე ლიანდაგის საწყობების საქმეები და გაგზავნა სხვა და სხვა მასალებისა საწყობებიდანა. გარდა ამის არტელმა უნდა იყოლიოს სამყოფი რიცხვი არტელჩიკებისა, კლადოვჩიკებისა, მათ თანაშემწეებისა, მასალის დამტარებელისა, დარაჯებისა და მუშებისა; სურვილის განზრახვა უნდა შემოიტანონ სამასალო სამსახურში არა უგვიანეს სექტემბრის 25-სა 1918 წ. დღის 12 საათამდინ.

ლებუმფროსთან ყოვეპირობები ჩაბარებისა შეიძლება გაიგონ სამასალო სამსახურის ყოველდღე დღე 9—3-ს დღისა გარდა უქმეებისა. 1326

---

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## გიმნაზია მოზრდილთათვის

(მე-5, 6, 7 და 8 კლ. და მოსამზ.) კიევის უნივ, პრივ.-დოც. **ნ სპილიოტის** და გიმნაზიის მასწავლებლის **ა. ვალობუევის** ხელმძღვანელობით. მიღება ყველა კლასში მოწმობებით ან ეგზამენებით. სწავლა იწარმოებს საღამოობით. ვაკანსიები ცოტაა თხოვნების და ცნობების მიღება 10—2-მდე და 4—7 საათამდე. პუშკინის ქ. № 4. პ. სპილიოტთან. 1319

---

განათლების სამინ. უწყებაში მყოფი

## პუშკინის უფლებიანი გიმნაზია

**ქალთა და ვაჟთათვის**

დაარსებიდან მესამე წელიწადი. არის საანბანო, მოსამზადებელი 1—7 კლასები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ქართულ და სომხურ ენას და ლიტერატურას. მიიღებიან ეგზამენებით და თუ მოწმობები აქვთ უეგზამენოდ. ცნობების და თხოვნების მიღება შეიძლება ძველ შენობაში: პუშკინის ქ. № 4, 10—2 და 5—7 საათამდე. 1318

---

**მანდილოსანთა და ქალიშვილთათვის** რომელთაც სურთ თავისი ხელით შეიკერონ ტანსაცმელი, გრძელდება სწავლა „მშრომელთა თვითდახმარების" (გოლოვინის პრ № 8 ტელ. 18 85) **ჭრა-კერვის კურსებზე** (შეკერვა ქალთა და ბავშვთა ტანსაცმელისა) და **ქუდის კერვის კურსებზე**. მეცადინეობა ფრანგული მეთოდით. მუშაობა ჭრა-კერვის კურსების მე-2 ჯგუფთან და ქუდების კერვის კურ. მე-6 ჯგუფთან იწყება სექტემბრის 23-ს. 2025

---



## ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

**დღეს**, ოთხშაბათს სექტემბრის 20-ს გაიმართება

## წარმოდგენა

„არტ სტიული ხელოვნების თაიგული"

მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ზინკოვსკები, ესმერალდა, პეტერსონი, ვუდი და მაი, ნიკოლინი და სხვ. მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი** 2030

---

**გამოვიდა და იყიდება**

უნივერსიტეტის და თეატრის

**5.000.000 მან.**

## ლატარიის ბილეთები

ბილეთი ღირს 25 მ

პ რველი მოგება **100 000 მანეთია.**

ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია. 1311


---

ტფილისი, სექტემბერი 20

**საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება**

სტამბოლიდან ფრიად საყურადღებო ცნობა მივიღეთ ოფიციალური ხასიათისა: რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში შესაფერისი ცვლილება არის შეტანილი. გერმანულ ოფიციალურ გაზეთში უკვე დაბეჭდილია შეხლეკრულების დამატებითი პუნქტები. აქ ვკითხულობთ: საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც, აკმაყოფილებს რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ აღიარებულ პრინციპს ერთა თვითგამორკვევისას—აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდაო. კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკების, სომხეთის და ადერბეიჯანის ცნობაზე რუსეთი ჯერჯერობით არ თანხმდება. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება უდიდესი ფაქტია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად. რუსეთმა ეს აქტი ჩაიდინა უექველია გერმანიის რჩევით და ძალდატანებით. ეხლა უნდა მოველოდეთ რომ სულ მოკლე ხანში ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებს გერმანიაც და მისი მოკავშირენი.

ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსათვის, ერთი დიდი დაბრკოლება მომავლის გზაზე უკვე ძლეულია. აქამდე საქართველოს ყოველ მხრით მტრები ეხვია. რომელთაც ერთნაირი ფორმალური უფლება ჰქონდათ ჩვენს საქმეში ჩარევისა. ამიტომ იყო რომ რუსეთიდან, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას საცინლად იგდებდა და აქამდე ფეხით სთელავდა თავის მიერ აღიარებულ ერთა თვით გამორკვევის პრინციპს— გადმოდიან საქართველოს ტერიტორიაზე ბრბოები და სხვა და სხვა ჯურის ბნელი აგენტები, რომელნიც აჯანყებებს აწყობდნენ ჩვენში. ამიერიდან ჩვენ უფლება გვექნება, როგორც მეზობლის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს—ყოველგვარ ამისთანა შემთხვევის გამო რუსის მთავრობას პასუხი მთვსთხოვოთ და ბრბოების ალაგმვა დავავალოთ. რასაკვირველია, თავისთავად ეს გარემოება არ გვიხსნის იმ ელემენტების მოქმედებისაგან, რომელიც აქ დაბანაკებულან და საზიზღარ აგიტაციას ეწევიან მთავრობის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. რუსის მოხელეობა ვერასოდეს შეურიგდება თბილი ადგილების დაკარგვას და მისთვის ყოველთვის სანატრელი იქნება ჩვენში რუსის დერჟიმორდის დაბრუნება. მაგრამ საქართველო, ვიმეორებთ, დღეს გამორკვეულად შედის საერთაშორისო ოჯახში და ჰხდება მისი სრულუფლებიანი წევრი.

დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორ და რა ნაირად აღიარა რუსეთმა ჩვენი დამოუკიდებლობა—ჯერ ხელთ არა გვაქვს. არის ცნობა, რომ საქართველოს დელეგაციის წევრები ამხ. გრიგოლ რცხილაძე და ვ. ლამბაშიძე უკვე წამოსულან სტამბოლიდან საქართველოში და ისინი გაგვაცნობენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ერთი რამ კი დღესაც აშკარაა. ამიერ კავკასიის მთლიანობის აღდგენის იდეას კაი ხნით უნდა გამოვეთხოვოთ. უპირველესად ყოვლისა ჯერ არაა აღიარებული დამოუკიდებლობა ადერბეიჯანის და სომხეთისა. ამ მხრით საყურადღებოა გერმანიის მისიის წარმომადგენლის პროფესორ ცუგმაიერის აზრი. პროფესორი ეხებოდა ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს იმ წერილს, რომელიც ადგილობრივ გერმანელთა გაზეთ „კაუკაზიშე პოსტში" დაიბეჭდა. საჭიროა ამიერკავკასიის გაერთიანებაო. ცუგმაიერი აღნიშნავს, რომ ეს აზრი გერმანიის მისსიის აზრი არაა. ამიერ კავკასიის დღეს გაერთიანების ლაპარაკი—ზედმეტიაო. ჩვენ, რომელნიც ერთა კავშირს ყოველთვის ვეტრფოდით და ვეტრფით—ეხლანდელ პირობებში, ვიდრე მეზობელი სახელმწიფონი არ ჩამოყალიბებულან და ვიდრე არ გაგვირკვევია საერთო ინტერესები—გაერთიანებაზე მხოლოდ სჯა-ბაასი შეგვიძლიან; პრაქტიკული მნიშვნელობა დღეს ამისთანა ლაპარაკს ვერ მოჰყვება, რადგან ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევის მომენტი სულ გუშინდელი ამბავია. მაშინ კი გამოირკვა, რომ კავკასიის სამ ერს შორის ზოგიერთ ძირითად საკითხებში დიდი ზღვარია. ამ ოთხი თვის განმავლობაში ეს ზღვარი, სამწუხაროდ არ წაშლილა. მდგომარეობა კი გართულდა მით, რომ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს არც ერთს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის სანქცია არ მიუღიათ. მაშ ასე: ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ერთნაირად გამოირკვა და დამოუკიდებლობა განმტკიცდა. ქართველი ერის მოვალეობაა ყოველი ღონე იხმაროს თავისუფლების დასაცავად და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, რომელიც უზრუნველჰყოფს მის ბრწყინვალე მომავალს და უადვილებს საბოლოოვო მიზნის—სოციალიზმისთვის ბრძოლას. ხოლო ერთა სოლიდარობის და ერთობის პრინციპი გვავალებს, რომ თუ დღეს არა, მომავალში ჩვენ მოგვიხდება შეკავშირება მეზობელ ერებთან და კაცობრიობის სწორუფლებისთვის მებრძოლთა რაზმის ამხნეირად გაძლიერება.

## ზომიერთა ბანაკში

იყო დრო, როდესაც ჩვენი გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ელემენტებს, რომელთაც ვერც თავიანთი სოციალური მდგომარეობით და ვერც იდეოლოგიური მოტივებით ვერ შეეძლოთ დიდხანს ეტარებინათ ზურგზე მემარცხენე ელემენტების პოლიტიკური და იდეოლოგიური ხეგემონია. მაშინ, როდესაც ჩვენი პარტია თავგამოდებულ ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს განთავისუფლებლად, როდესაც იგი ცდილობდა ეროვნული თვით-ცნობიერება შეეტანა ხალხში და გაეღვიძებინა მასში მისწრაფება რუსეთის მონობის ბორკილების მოგლეჯისა,—მაშინ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში თავი ჰქონდა შემოფარებული სოციალ-დემოკრატიული ანტი-ნაციონალური პოლიტიკის ყველა უკმაყოფილებას. მხოლოდ ეროვნული მომენტი აკავშირებდა ამ ზომიერებას სოციალისტ-ფედერალისტებთან. მაგრამ დადგა დრო დიფერენციაციისა და სოციალისტ-ფედერალისტებს გამოეყო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ჟურნალ „კლდე"-ს გამოცემა. აღსანიშნავია ერთი დეტალი. მართალია ამ ჯგუფის გამოსაყოფად საკმაოდ ღრმა საფუძვლები იყო, მაგრამ გამოყოფის საბაბად მაინც მიწის საკითხი გადაიქცა. სწორედ მაშინ ხიზანთა საკითხი

ირჩევოდა და ზემოხსენებული ჯგუფი ვერას გზით ვერ შეურიგდა საკითხის ისე გადაწყვეტას, რომ ხიზნები დაკმაყოფილებულიყვნენ მიწით. აგრარიების ინტერესმა მაშინ სასწორი თავისკენ გადასწია.

ამ დღიდან იწყება ამ ჯგუფის იდეოლოგიური ჩამოყალიბების პროცესი სხვების კარნახით და საკუთარის განსჯით ახალი ჯგუფი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიად მოინათლა. სანამ რევოლიუცია მიხდებოდა და მერე კი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში უკონფლიქტოდ თავსდებოდა ორი, არსებითად ერთმანეთს დაშორებული ელემენტი. ერთი იყო ვაჭარ-მრეწველთა ელემენტი და მისი განათლებული ინტელიგენცია და მეორეს მხრით კი აგრარიები, მემამულენი და მათი დამცველნი, აღზრდილნი დეპუტაცია საკრებულოების ტრადიციებზე.

დღეს არა ხვალ ამ ელემენტთა სხვა და სხვა ბა მაინც თუ ერთგვარი წინააღმდეგობა არა, უნდა აღმოჩენილიყო. განსაკუთრებით თავი უნდა ეჩინა ამ განხეთქილებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. რამდენადაც უფრო მეტად მყარდებოდა ჩვენში წესიერება, რამდენადაც უფრო ყალიბდებოდა საქართველოს პოლიტიკური სახე, იმდენად უფრო მეტად მწვავდებოდა კონფლიქტი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში და ეს აუცილებლად ასეც უნდა მომხდარიყო. იმ ელემენტებს, რომელიც ნაციონალ-დემოკრატიული პარტია თავის წიაღში ატარებდა, სულ სხვა და სხვა პირი პრაქტიკული შესაძლოებანი გადაეშალა, პრაქტიკული შესაძლოებანი, რომელნიც მათი სოციალური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად საჭირო საზოგადოებრივი წესიერება და სახელმწიფოებრივი წესწყობილების სიმტკიცე. თუ დაცულია გარანტია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა, ეს კლასი არასოდეს დემოკრატიულ მთავრობას ისეთს ოპოზიციებით ვერ ჩაუდგება, რომელსაც კატასტროფის გამოწვევა შეუძლიან. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული კლასიც ცდილობს ჩვენი კონსტიტუცია შეზღუდული იყოს და დემოკრატიზმი ფრთა შეკვეცილი. მაგრამ მას მაინც იმდენი გაიება აქვს თავისი კლასიური ინტერესებისა, რომ ქვეყანა ახალი პოლიტიკური კრიზისის წინ არ დააყენოს.

სულ სხვანაირია სულიერი განწყობილება აგრარიებისა და იმ მათი იდეოლოგებისა, რომლებიც ჯერ კიდევ აწ გარდაცვალებული დეპუტატთა საკრებულოების წვენითა საზრდოობენ. მათ დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ყველაფერი წაართვა, დაუტოვა მხოლოდ თავისუფლება პატიოსანი შრომისა. წოდებრივი პრივილეგიები მოისპო და აგრარული კანონ-მდებლობაც იმნაირი გზით მიდის, რითა იმ მემამულეთ, რომელთაც მიწები პრივილეგიების წყალობით ეჭირათ, ეს უპირატესობა მოესპოთ. დადგა ხანა, ისტორიული ხანა ჩვენი სოფლის გადახალისებისა. დადგა ხანა, როდესაც სოფელში გლეხისა და თავად-აზნაურობის ადგილი სოფლის მეურნემ უნდა დაიჭიროს და ამით სამუდამოდ ბოლო მოუღოს ფეოდალიზმის იმ საშინელ ნებას, რომელიც დღესაც შეუძლებლადა ჰხდის სოციალურსა და კულტურულ აღორძინებას ჩვენი ქვეყნისას. მაგრამ იქ, სადაც უნდა იშვას ახალი საქართველო, კვდება ძველი. და ამ ძველ აზრდილთა იდეოლოგებს, რომლებმა ყველაფერი დაჰკარგეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ დემოკრატიული წესწყობილება ჩვენი ქვეყნისა. პოლიტიკური გონიერებას ვილარ მოსთხოვთ იმას, ვინც ყველაფერი დაჰკარგა და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამნაირი ელემენტებისაგან შემდგარი ჯგუფი ეხლანდელ მთავრობასა და დემოკრატიულ წესწყობილებას ვერ შეურიგდება.

ის არც რესტავრაციას მოერიდება, თუ მან კვლავ აღუდგინა დაკარგული ძალა და გავლენა.

ეს ორნაირი ტენდენცია თანდათან გამოიერდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში და ბოლოს საქმე განხეთქილებამდე მივიდა. საყურადღებოა, რომ ჩვენი პარტიიდან პირველად გამოყოფილი ჯგუფი ისევ „კლდე"-ს სახით მოგვევლინა, იმ „კლდი"-სა, რომელმაც პირველად სთქვა ნაციონალ-დემოკრატიული სიტყვა და რომელზედაც დღეს უკვე, ალბათ, შუბლს გაიტეხავენ ჩვენი აგრარიები.

არ. ჯაჯანაშვილი.

# მთავრობაში

შრომის სამინისტრომ შეიმუშავა შრომის ხელშეკრულების კანონი, რომელიც აუქმებს ყოფილ ამიერკავკასიის კომისარიატის კანონს მოსამსახურეთა მიღებისა და დაქირავების შესახებ. კანონპროექტი მთავრობას წარედგინება მუშათა ორგანიზაციაში განხილვის შემდეგ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო რუსეთის მთავრობისაგან. რომელშიაც აუწყებენ რომ რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადება.

—

მთავრობას წარედგინა ხარჯთ აღრიცხვა „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციისა სადაც ხარჯის და გაზეთის გამოცემისათვის, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თვიურად საჭიროა 5750 მან. გაზ „კავკაზის" რედაქციის ლიკვიდაციისათვის საჭიროა 11000 მანეთის გადადება.

—

სამხედრო სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა მთავრობას საუწყებ თაშორისო კომიტეტის შესახებ რომელშიაც შევლენ: შინაგან, საფინანსო, საიუსტიციო, სამხედრო და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროთა წარმომადგენელნი სახალხო გვარდიის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიების გამოსარკვევად.

# ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 9—18. ელეტსა და ენს შუა მტერი იერიშებს განაგრძობს. შუადღემდე მტერს იერიშები მოჰქონდა ვოქსეილონსა და ალემანს შუა, ნაშუადღევს მტერმა მთელ ფრონტზე მოიტანა იერიში დიდი ძალებით ლოფო-შავილიონის გზატკეცილზე მტერმა შესძლო ჩვენს პოზიციებში შემოჭრა; ჩვენ ის გავდევნეთ.

**ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი** ლოტარინგიის ფრონტზე და ზინდგაუში მზვერავთა მოქმედება.

**ბერლინი.** 9—18. საღამოს ცნობა. ფრანგ-ინგლისელები შეტევას აწარმოებენ გაფართოებულ ფრონტზე გავრიკურტის ტყიდან სომამდე. ხარჟიკურტსა და ასმინიონის მდინარის შუა შეჭრილ მტრის წინააღმდეგ კონტრ-იერიში მოვიტანეთ დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. ჩვენ ყველგან ჩვენი ძველი ზღვაფრეედის ხაზის დასავლეთით ვიბრძვით.

**პარიზი.** 9—18. მიუხედავად გერმანელების წინააღმდეგობისა ფრანგებმა 4 კილომეტრით წინ წასწიეს თავისი ხაზები ფრანგებმა მიაღწიეს ფრესნეილი-სელენსის დასავლეთ მისავალს და დაიპყრეს სავის ტყე და ფონტენ-ლეკლერკი. ფრანგებმა შეინარჩუნეს კუტესკურტის სამხრეთი მიდამოები და დესინი-ლე გრანდს მიუახლოვდნენ. ფრანგებმა რამდენიმე ასეული ტყვე წამოიყვანეს. ენის ჩრდილოეთით ფრანგები წინსვლას განაგრძობენ. გერმანელებმა ძლიერი კონტრ-იერიშები მოიტანეს ტეზე, ალემანის აღმოსავლეთით. ფრანგების ჯარმა იგინი გარეკა, დაიპყრო ნაწილი ტერიტორიისა და 130 ტყვე წამოიყვანა.

**ამერიკელების ცნობა.** 9—18. საარტილერიო მოქმედების გარდა ლორენსა და ელზას შუა არავითარი სხვა მოქმედება არ ყოფილა სექტორებში, ჩვენს ჯარს რომ უკავია ლორენის რაიონში საყუმბარო ბრძოლის დროს ჩვენ ფრინავებზე მტერმა დიდი ძალებით მოიტანა იერიში. ჩვენ დავკარგეთ 5 აპარატი

### მაკედონიის ფრონტი

**ბერლინი** 9—18 ცრნის აღმოსავლეთით სექტემბრის 5 დან ბულგარელები ბრძოლაში არიან გართული ფრანგებთან, სერბებთან და ბერძნებთან მტრის მოსაგერიებლად ბრძოლაში შეიყვანეს გერმანული ბატალიონებიც.

### პალესტინის ფრონტი

**სტამბოლი** 9—18. ზღვის სანაპიროებით ზომიერი საარტილერიო ბრძოლაა და მზვერავთა მოქმედება. იერუსალიმ-ნაბლუსის გზატკეცილის ორ ვე მხრით მტერი განაგრძობს ჩვენი პოზიციების გახვევას საარტილერიო ცეცხლში აქ მტრის რაზმები წინ წაწევას სცდილობდნენ: ჩვენ იგინი გავრეკეთ. იორდანესთან ბრწყინვალედ ვებრძოდით მტრის არტილერიას. ავსტრალიელი მზვერავები ჩვენმა პატრულებმა გარეკეს. ამ რაიონში ჩვენ ჩამოვაგდეთ ინგლისელთა ერთი ჰაეროპლანი მისი შემადგენლობა—2 ოფიცერი—დავატყვევეთ. ბუშინ ჩვენი ხაზების წინ ვიპლოვნი ჩამოვაგდეთ და ხელთ ვიგდეთ: ერთი მფრინავი მკვდარი ვიპოვეთ. მტრის ესკადრაში, ელასზე რომ მოიტანა იერიში, ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

# უცხოეთი

**კიევი** 9—17. დონის ატამანი კრასნოვი ნოვოჩერკასკიდან მოულოდნელად ცარიცინის ფრონტზე გაემგზავრა. ეს მით აიხსნება, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბრძოლამ ყაზახებისათვის არა სასურველი ხასიათი მიიღო.

**ბერლინი** 9—17. ავსტრია-ჰუნგრეთის საზავო ნოტას მთელმა მსოფლიომ მიაქცია ყურადღება, განსაკუთრებით ნეიტრალურ სახელმწიფოებში. პრესა იხილავს მას დიდის ყურადღებით. ოსმალური პრესა მიესალმება ამ სიმპატიურ წინ დადებას, ხოლო მისი გამარჯვება არა სწამს. შვეიცარიაში ამას უყურებენ, როგორც საიმედო ნიშანს და ფიქრობენ, რომ დადგა დრო, როდესაც ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ და დააჩქარონ მშვიდობიანობის ჩამოგდება.

**ბერლინი** 9—16 პეტროგრადიდან მოსული ცნობებით იქ, მე 4 ლაშქარში დიდი უთქმულება აღმოაჩინეს. მე-4 ლაშქარში მყოფ ურალის დივიზიის უფროსმა შტრომბახმა წინადადება მიიღო მოკავშირეთა სახელმწიფოებისგან ელალატნა მე 4 ლაშქრისათვის და მტრის ხელში გადაეცა: შტრომბახმა უარი სთქვა ამ წინადადებაზე და გამოაქვეყნა იგი.

**ლიონი** 9—16. „კროატის ფურცელი" იუწყება, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების წინააღმდეგ საბრძოლველად ახალგაზრდა პოლონელებმა და სლავიანებმა შეადგინეს კომუნა სახელად: „ნორჩი პოლიტიკური გენერაცია".

**ბერლინი** 9—16. „იზვესტიის" ცნობით ქალთა ბატალიონების მომწყობი ბოჩკარევა სექტემბრის 12-ს დახვრიტეს ვიტებსკში კონტრ რევოლიუციონურ მოქმედებისათვის.

**ბერლინი** 9—16 რეიხსტაგის საოკახო კომიტეტი სექტემბრის 24-ს შეიკრიბება. იმ დროს, როდესაც გერმანიაში ელექტრონის განათების საქმე კარგად არის ყველა ქალაქში, მოწინააღმდეგეთა ქვეყნებში ნახშირისა და გემების ნაკლებობის გამო ელექტრონის ენერგიის საკითხი ცუდ მდგომარეობაშია. საფრანგეთში ელექტრონის ენერგიის სარგებლობა შემცირდა ინგლისიდანაც ასეთივე ცნობები მოგვდის „მანჩესტერ-გარდიენი" იტყობინება, რომ ლონდონშიც შემცირდა ელექტრონის ენერგიის მოხმარება ზოგიერთ ადგილას ნორმალურ დროსთან შედარებით ხუთჯერ-ათჯერ ნაკლებსა ხმარობენ, ზოგიერთში კიდევ სულ მოსპობილია. იტალიაში საქმე უფრო უარესად არის, რადგან ვერ მოაქვთ საკმაო რაოდენობა ნახშირისა მხოლოდ რვა დიდ ქალაქში არის გაზი, ისიც 3—4 ს. დღეში.

**ბერლინი** 9—16. „დეილი ნიუსი" სწერს, რომ ნახშირის მოხმარების ეხლანდელი შემცირება დიდ საფრთხეს უმზადებს ინგლისის და მის მოკავშირეთა მრეწველობას და სამხედრო საქმეებსაც კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს.

### ტრანს-ოკეანის პრეს-ბიუროს ცნობა

ბერლინის გაზეთები იხილავენ ლლოიდ-ჯორჯის სამინისტრო სიტყვას და ამბობენ, ამ სიტყვას საარჩევნო პროპაგანდის ხასიათი აქვსო. ის მიმართულია იქითკენ, რომ დაარწმუნოს ინგლისელები არსებულ სამხედრო პოლიტიკის აუცილებლობაში. ამას გარდა „ნორდ-დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგის" აზრით ამ სიტყვამ უნდა დაუმტკიცოს კრიტიკოსებს, რომელთა რიცხვი მრავლდება, რომ სრულებით არა აქვსთ განზრახული გერმანიის განადგურება და არც სურვილია შეთანხმებისა ამას ეწინააღმდეგება ლლოიდ-ჯორჯის მეორე განცხადება.—ომის დასასრულს მტერს ვაიძულებთ სამართლიანი და ხანგრძლივი ზავი მიიღოსო. გაზეთები აღნიშნავენ ამ სრულს წინააღმდეგობას ლლოიდი-ჯორჯის არა გულწრფელ სიტყვაში. ინგლისი ვერ გვაიძულებს სამართლიანი და ხანგრძლივი ზავი მივიღოთო; ამ ზავისითვის მთელი კაცობრიობა სისხლის ზღვაში სცურავს. გერმანულ ვიცე-კანცლერის განცხადება შტუტპარტში საუკეთესო გარანტიაა სამართლიანი ზავისაო.

**ბრიტანიის რადიო-ცნობა.** 9—16 გერმანიის მოთხოვნას კოლონიების დაბრუნების შესახებ პალფური შენიშნავს: რომ ვერავითარი მოლაპარაკება ვერ მიგვიყვანს შეთანხმებამდე, რადგან შეუძლებელია გერმანიას დაუბრუნდეს უბედური ერები, რომელთაც ის ყვლეფავდა და საზღვაო ბაზებზე კონტროლის უფლებაც დაუბრუნდესო: ეს ბაზები არა მხოლოდ ინგლისის გზებია, არამედ მთელი დაწინაურებელი მსოფლიოსი. მეორე საკითხი, რომელსაც ვერავითარი მოლაპარაკება ვერ გადასწყვეტს, ელზას-ლორენისა და „აღმოსავლეთ ევროპაში" პროტექციის საკითხია ერთგვარი ცინიზმია ავსტრიის წინადადებაში, რომელიც მან კანცლერის სიტყვის შემდეგ წამოაყენა. ამ წინადადების მიზანი იყო მოკავშირეთა შორის განხეთქილება ჩამოეგდო. „მე დარწმუნებული ვარ—დაასრულა სიტყვა სალკუსმა—რომ ეს ახალი ცდა შეთანხმებამდე ვერ მიგვიყვანს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ვერც განხეთქილებას ჩამოაგდებს მოკავშირეთა შორის

**მოსკოვი** 9—17. ც. აღმ. კომ. ბიულეტენი ჩრდილოეთის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია. სამხრეთის ფრონტი: კოლაჩევის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ჩიბასოვკა ნიუნიკისლი ი-დვორიტის მისავალი გზები ნოვოხოპიორსკის მიმართულებით ჩვენ დავიხიეთ. პოვორინის მიმართულებით სასტიკი ბრძოლაა. პოტიომკინის მიმართულებით სოფ. კიბირეკსკისა და ილინსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გაანადგურა ბლასტუნთის ბრიგადის შტაბი ველის რაიონში ჩვენ ავიღეთ ზიმუკრეევო ზიმბუჩაკოვო და სოფ. ბოლდირევკა აღმოსავლეთის ფრონტი. ვოლსკის მიმართულებით, ჩვენმა ნაწილებმა შეუტიეს და აიღეს სოფ, შიროკიე ბუერაკი იუგოვსკაია და მაზა. სექტემბრის 15-ს ნაშუადღევის 4 საათზე საბჭოთა ჯარმა ბრძოლით აიღო ხვალინსკი.

**ვალდაი** 9—[illegible]. დახვრიტეს კონტრ-რევოლიუციონერი კოსოგორსკი, რომელიც თავის დროზე დამსჯელ რაზმს უფროსობდა სპარსეთში. ბუისკი ჩვენმა ჯარმა აიღო. მდ. კამის შესართავი მტრისაგან გაწმენდილია. ძლეული მტერი იხევს ქვეით, კამის მიმართულებით ვიატკასკენ ვოლგა სიმბირსკამდე მტრისაგან გაწმენდილია. ვოლგის მარჯვენა ნაპირით თეთრი გვარდიელები სრულებით აღარ არიან

**ყაზანი** 9—15. ქალაქის მუშები აღფრთოვანებული არიან. ენერგიულად მუშაობენ საბჭოთა დაწესებულების აღსადგენად, ბურჟუაზია საბოლოოდ განადგურებულია.

**შჩიგრი** 9—14. საგანგებო კომისიამ 4 მღვდელი დაატუსაღა.

**კავკაზში** ინგუშთა სახალხო ყრილობამ რომელიც სექტემბრის 4-ს აზრონში იყო მოწვეული, განაცხადა, რომ ხალხი საბჭოთა მთავრობის მომხრეა.

**უფაში** ვაჭარ მრეწველთა ყრილობაა, მისასალმებელ სიტყვებში მთავარი მოტივი იყო: სამხედრო დიქტატურის დაწესება და ძლიერი ლაშქრის შედგენა.

# ახალი ამბავი

◆ **ამხ. არჩილ საყვარელიძის მოკვლის გამო** აღბულაღიდან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: „მე და მე-2 საარტილერიო ბრიგადის მე-2 ბატარეის ოფიცრები და ჯარისკაცები ცხარე ცრემლით ვსტირით მოვალეობის ასრულების დროს ძვირფას თანამოსამსახურის არჩილ საყვარელიძის გმირულად დაღუპვის გამო. ბატარეის უფროსი კაპიტანი ქარუმიძე.

◆ **მთავრობის საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში** თხოვნების მიღება ოქტომბრის 1-დის გაგრძელდება პირველ გაერთიანებულ კლასში უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელთა ანუ საშუალო სასწავლებლის 4 კლასის კურს დამთავრებულნი მიიღებიან. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე, № 70.

◆ **ქ. შ. წ. კ. საზოგადოებაში.** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ რაბათის სკოლას 100 მანეთის წიგნებით დახმარება აღმოუჩინა.

◆ **ტფ. ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 23-ს, ხოლო სწავლა ოქტომბრის 1-დან.

◆ **საზოგადოების საყურადღებოდ.** ქ შ წ. კ. გ. საზოგადოების მთავარი გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ყველა იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელთაც წაღებული აქვსთ განსვენებულის საზოგადო მოღვაწის გ. ფ. ზდანოვიჩის ბიბლიოთეკიდან წიგნები, დაუბრუნონ უკან ამავე ბიბლიოთეკას, რომელიც ანდერძის თანახმად შეადგენს ხსენებული საზოგადოების საკუთრებას. [illegible] ნებული წიგნები უნდა ჩაბარდეს [illegible] გზავნოს [illegible] რიძეს ([illegible]) ქუთაისის [illegible] მართით. საზოგადოების [illegible] გ. ნ. ყაზბეგი.

◆ **მეეზოვეთა მოთხოვნები.** მეეზოვეთა კავშირმა მოთხოვნები წარუდგინა სახლის პატრონთა კავშირს. თუ პირ[illegible] ოქტომბრამდე არ იქნებიან დაკმაყოფილებული, მეეზოვეები გაფიცვას გამოაცხადებენ.

◆ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" მე-4 (აპრილის) ნომერი. ჟურნალში ჩვეულებრივი ორი განყოფილებაა: პატარებისა და მოზრდილთათვის.

◆ **საქართველოს დამოუკიდებლობა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სტამბოლიდან მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ რუსეთმა იცნო მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა. კავკასიის სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობაზე რუსეთი ჯერ-ჯერობით არ თანხმდება კონფერენციის წევრნი გ. რცხილაძე და ვ. ღამბაშიძე საქართველოსკენ უკვე გამომგზავრებულან. რაც შეეხება გ. გვაზავას, იგი ჯერ-ჯერობით სტამბოლში დარჩებაო.

— ოფიციალურ გაზ. „ნორდ-დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგში" მოთავსებული დამატებითი მუხლები ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა ერთ-ერთი მუხლი საქართველოს რესპუბლიკას ეხება. იქ ნათქვამია, რომ რადგან საქართველოს რესპუბლიკა სავსებით აკმაყოფილებს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, ამიტომ საბჭოთა მთავრობა სცნობს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსო.

◆ **სადღესასწაულო დღეები.** შრომის მინისტრი აცხადებს, რომ სადღესასწაულო დღეებს გამოსარკვევად დაკანონებლად შესდგა საუწყებათაშორისო კომისია ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ვიდრე საბოლოოდ გამოირკვეოდეს ეს საკითხი, დღესასწაულ-უქმე დღეებად ჩაითვლება ღვთისმშობლობა სექტემბრის 21, ჯვართამაღლება სექტემბრის 27, ტაძრად მიყვანება დეკემბრის 4, ის პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც ახალის სტილით სექტემბრის 8-სა და 14-ს იუქმეს, მოვალენი არიან 21-სა და 27-ს იუქმონ.

◆ **† მიტროპოლიტი ანტონი.** [illegible] თაისიდან ივ. ჭურადაშვილი დეპეშით გვატყობინებს სექტემბრის 18 ს თარიღით: „ნაშუადღევის პირველ საათზე ანაზდეულად გარდაიცვალა სისხლის ტვინში ავარდნით ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი".

◆ **წუმწუმა („სპიჩკა").** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ საჭიროდ სცნო ხელი შეუწყოს წუმწუმის მრეწველობის განვითარებას საქართველოში და ამ მიზნით დაადგინა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს „პრომეთეს" ამხანაგობას, რომელიც ყუთ წუმწუმას ექვს შაურად მიაწვდის საზოგადოებას.

◆ **დატუსაღება.** შეიპყრეს საქართველოს რკინის გზის მე-3 № კასის არტელშჩიკი ხარებაძე, რომელსაც ჰბრალდება ყალბი დოკუმენტებით 74 ათასი მანეთის გაცემა.

— მილიციამ შეიპყრო ვინმე რუბენ ვახტანგიანცი, რომელიც თავის თავს მსახიობ გიორგი ვახტანგიშვილს უწოდებდა. მას ბრალდება 150 მანეთისა და 3 არშინ სუკნოს მოპარვა მეორე ქართულ კლუბიდან.

◆ **სახალხო გვარდიის შენახვა.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა სახალხო გვარდიის შესანახად წლის ბოლომდე და წარუდგინა მთავრობას. ხარჯთაღრიცხვა 26 მილიონს უდრის.

◆ **ეპიდემიასთან ბრძოლა.** ეპიდემიურ ფონდის შემკრები კომისია სექტემბერში შეუდგა ფონდის შეგროვებას ხოლერასთან საბრძოლველად კომისიამ ჯერ-ჯერობით შეკრიბა 100,000 მან

◆ **მკვლელობა.** სექტემბრის 8-ს სოხუმის ქუჩაზე მოჰკლეს სერგეი თოდეევი მკვლელნი მიიმალნენ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** სახალხო უნივერსიტეტი სექტემბრის 25-დან გადადის ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში. მეცადინეობა ამ დღეებში დაიწყება. გადაწყვეტილია საუკეთესო პროფესორთა და ლექტორთა მოწვევა. ლექციებს წაიკითხავენ ყველა ენაზე.

◆ **მუშათა კლუბის გახსნა.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ხარფუზში გახსნა მუშათა კლუბი. კლუ

ანას დაესწრო ქ. ჩხეიძე და ლომთა... რომელნიც მიესალმნენ გახსნას.

...ხმალოს ასკერები ამ დღეებში ...აირუნსა და სანაინზე გაიარეს ...ასკერების ეშელონებმა, სულ ...ნი იყო.

✦ **ბაქო-ალების გამო განჯის სომ...** ...ემა განსაკუთრებულ დელეგაციის საშუალებით ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდ... ხან ხოისკის მიულოცეს.

✦ **იაფფასიანი პური საქართველოსთვის.** სასურსათო განყოფილების გამგე, ქალ. გამგეობის წევრი ა. მინასაროვი გერმანიის საიმპერატორო მისიაში მი...ა, სადაც სამეურნეო ნაწილის გამ...ქტ. პფაფმა მას განუცხადა გერ... მისიის უფროსმა ფონ-კრესმა ...ვართო ტფილისს და საქართველოს ...ა ქალაქებს გადესცენ ხორბალი, უკ...აინიდან რომ მოელიან და მის ნაცვ...ვაიტანონ თამბაქო. ამ ჟამად ფოთ...ზავნად იგზავნება უკრაინაში ...ათასი ფუთი ხორბალი: ამი... გერმანიამ 3 მილ. კრედიტი ...ა. ასეთი რაოდენობის ხორბალი ...ოვა ფოთში ყოველ 3—4 კვირაში ...ითხელ და მის შესაფერის ფასეულო...ბის თამბაქოს გაიტანენ ხორბლის ნაც...ვლად. პირველი პარტია ხორბლისა ტფილისს მიეცემა. ხორბალი მოტანით ჯდება ფუთი 30—35 მან. იმ დროისთვის სასურსათო განყოფილებამ ქერი უნდა დაამზადოს ხორბალში გადასარევად და წისქვილები პურის დასაფქვავად. პურის წესიერად გასანაწილებლად სასურსათო განყოფილებაში გაგზავნილი იქნება ...რმანიის მისიის წარმომადგენელი ...ერი მიეცემა მცხოვრებლებს მანეთ...ახევრად გირვანქა.

✦ **რევიზია.** სახელმწიფო კონტროლმა რევიზია მოახდინა საქართველოს რკინის გზათა მთავარ კასასა და ბუღალტე...რიაში, სადაც მრავალი ნაკლი აღმოჩნდა.

✦ **ცემენტის ქარხანა.** საქართველოს ...აჭრო და სამრეწველო კავშირს მიჰ...ითეს წინადადებით საქართველოში ...ტის ქარხნის დაარსების შესახებ. ...მისათვის არჩეულმა კომისიამ სა...სცნო ასეთი ქარხნის გახსნა.

**ოსწ-ფეთა ჯარიდან განთავისუ...** ...ა სამხედრო მინისტრმა ბრძანება ...სცა რომლის თანახმად ყველა ის ...ფენი, რომელნიც ჯარში მსახურე... და 22 წელი არ შესრულებიათ, ...ავისუფლდებიან ჯარიდან, თუ ისი...წამდვილ მოწმობას წარმოადგენენ ...იანთ მოწაფეობის დასამტკიცებლად.

**ჯარის კ-ცთა ჯ. მაგირები.** პირ...ოქტომბრიდან ყველა ჯარის კაცს ...ერ ჯამაგირად მიეცემა 40 მანეთი. ...მდე ფრონტზე მყოფი ჯარის კაცები ...ეში 35 მანეთს იღებდნენ.

✦ **...ამართალ-ში მ-ცემა** საარმიო არ...ილერიის ბრიგადის 1 დივიზიონის ...ფიცრებს სამხედრო მინისტრმა სამდუ...რავი გამოუცხადა და ბრძანება გასცა ...მათ სამართალში მიცემის შესახებ—რა...დგან მათ აგვისტოს 30-ს დივიზიონის ...უფროსის დაუკითხავად საზოგადო კრე...ა გამართეს და სამხედრო კანონი ...არღვიეს.

✦ **საერობო არჩევნები** სურამის რა...ში საერობო არჩევნებში სოც.-დე...კრატებმა მიიღეს 5032 ხმა, სოც.-ფე...დ...ლისტებმა 215 ნაც.-დემ 127.

**ქალაქთა კავშირში** ქალ. კავში... მთავარმა კომიტეტის თავმჯდომა... ნ. ელიავამ შემდეგი მისალმებით ...თა მთავრობის თავმჯდომარეს: ...თველოს ქალაქთა კავშირის პირ... ყრილობა მიესალმება საქ. დემო...იულ რესპუბლიკის მთავრობას, ...ქვამს მას სრულ დახმარებას ძალა...ბის განამტკიცებაში და ღრმა ...ს გამოსთქვამს, რომ ქალაქთა ...ართველობების მუშაობას დემოკ...ის საკეთილდღეოდ, დემოკრატიის ...ით აღჭურვილი მთავრობა დახმა...ალმოუჩენს.

ქალ. კავშირის მთავარი კომიტე...ემ. ბიუროში აირჩიეს თავმჯდო... ნ. ელიავა, მის ამხანაგად მ. რუ...ევრებად: ი ფალიღეევი, ს. მდი...ა. იამჯიანი და ჰოფმანი.

**სამდურავი.** სამხედრო მინისტრ...სამდურავი გამოუცხადა ტფილისის ...რო უფროსს და მის უმცროს ...ახურთ—ახლად ჯარში გაწვეულ...ვის დროზე მიუღებლობისა და ამ ...მი გულგრილად მოქცევისა... ...მინისტრმა გააფრთხილა სამხედ... ...უფროსები, რომ თუ ასეთი რამ ...უება შემდეგში, უკიდურესი ...იქნება მიღებული.

**...ხედრო საკონტ-ოლო კ-მი...** ...დრო მინისტრის განკარგულე... ...ვა კომისია, რომელმაც დაწვ...უნდა შეამოწმოს და დაათვა... საქართველოს ყველა საინტენ...დანტო და სამხედრო დაწესებულება. კომისიაში შედიან 11 სამხედრო პირი და სახე-მწიფო კონტროლის წარმომადგენელი.

✦ **ავიაცია** ჰაერში ფრენის საქმის გაფართოებისა და განვითარების მიზნით სამხედრო მინისტრმა, ტფილისის საავიაციო როტის კომანდ-რი—ავიაციის ინ პექტორის უფლებით აღჭურვა.

✦ **დანიშვნანი.** სიღნაღის ოთხ კლასიან გიმნაზიის დირექტორად განათლების სამინისტროს განკარგულებით დაინიშნა განჯის გიმნაზიის მასწავლებელი ვლადიმერ მენთეშაშვილი.

— დ. ვანის ოთხ-კლასიან გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა გედეონ მეფარიშვილი.

✦ **ფინანსთა სამინისტ-ო აცხ-დებს:** საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გროვდება შემოწირულებანი სახელმწიფო ფონდისათვის ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, საჭიროა ამ დიად საქმეს მიეცეს სისტემა, რამაც უზრუნველყოს შემოწირულებათა დანიშნულებისამებრ გადაცემა. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შემოწირულებანი მიიღება რესპუბლიკის ყველა ხაზინაში, საიდანაც შემომწირველთ მიეცემათ სათანადო ბარათი. ბარათში აღწერილი იქნება შემოწირული ნივთი და აღნიშნული მისი წონა. შემომწირველთა სიას ფინანსთა სამინისტრო გამოაქვეყნებს გაზეთებში. ფონდის მოგროვების დაბოლოვების შემდეგ მთავრობა გამოსცემს განსაკუთრებულ ოქროს წიგნს. რომელშიაც შეტანილი იქნება შემომწირველთა სახელი და გვარი. კერძო პირთ შემოწირულებათა მიღება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მოწმობა და სათანადო ბარათების წიგნაკები. რომელთა მიღება შეიძლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს კანცელარიაში, მიღებული შემოწირულებანი დაუყონებლივ უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივ ხაზინაში.

✦ **ლატარიის ბილეთები.** 18 ამ თვეს შესდგა სა-ატიო მანდილოსანთა კრება ლატარიის გამგეობის თაოსნობით კრებაზე შემუშავებულ იქმნა პროგრამა ქ. ტფილისში ლატარეიის დღის მოწყობისა და განაწილებულ იქმნა მანდილოსნებს შორის სხვა და სხვა მოვალეობანი მთელი ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნას შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე მ. რამიშვილისა შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ შაბათისთვის დღეს 12 საათზე.

✦ **მე-...-ე ქალთა გიმნაზიაში** (ყოფილი ქალთა ქართული გიმნაზია) გამოცდები დაიწყება 21 სექტემბერს; რადგან გიმნაზია ქალთა ინსტიტუტის შენობაში გადავიდა (ერმ.ლოვის ქუჩაზე), ამიტომ გამოცდებიც აქვე იქნება.

✦ **უმ-ღლესი ქალთა კურსები ბაქოში გადააქვთ** როგორც გავიგეთ, ადერბეიჯანის მთავრობას უმაღლესი ქალთა კურსების გამგეობასთან მოლაპარაკება აქვს გამართული, როგ კურსები (რომელსაც ამას წინად „ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი“ დარქვეს) ბაქოში გადაიტანონ. კურსების პროფესორთა წრეებში კურსების ბაქოში გადატანის საქმე თითქმის გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ადერბეიჯანის მთავრობა ჰპირდება, რომ ქონებრივად უზრუნველჰყოფს. იგი კურსებს ბაქოში

✦ **სახელმწიფო ტყეები** ამ ჟამად სახელმწიფოს განკარგულებაში დიდძალი კერძო ტყეები გადავიდა, სულ სულ 1,042.000 დეს ამ ტყეების მოსავლელად მიწათმოქმედების სამინისტრო 40 ახალ ტყის გამგეს ნიშნავს. ტყის გამგეების თანაშემწეთა მოსამზადებლად სამინისტრო მოკლე ვადიან კურსებს აარსებს.

✦ **თ-ხის მრეწველობა** განათლების სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ჩვენში თიხის საგნების (აგურის, კრამიტის და სხვ.) წარმოების საქმეს. ამ მიზნით სამინისტრო აფართოებს ამ დარგის წარმოებას მცხეთის სკოლაში, სადაც მოწაფეთა რიცხვი გადიდებული იქნება.

✦ **სამხედრ- უფრ-სთა შტატები** სამხედრო მინისტრმა მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა სამაზრო სამხედრო უფროსთა დაარსების შტატები,

✦ **გერმანელთ- ლაზარეთი** გერმანიის საიმპერატორო მისიამ ქალაქის გამგეობას თხოვა დაუთმოს ქალაქთა კავშირის № 27 ლაზარეთი ბინა ანდრეევის ქუჩაზე გერმანიის ჯარისათვის ლაზარეთის მოსაწყობად 300 საწოლით.

✦ **შაქრის ქარხანა.** ტფილისში შესდგა ამხანაგობა რომელსაც განზრახვა აქვს ბორჩალოს მაზრაში მომავალ წლიდან შაქრის ქარხანა დაარსოს. საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების მინისტრის წინაშე, რათა დაუთმოს მას აღნიშნულ მაზრაში ყოფილ საუფლისწულო მამულიდან 5,000 დესეტინა მამული.

# სამეგრელოში

სექტემბრის 6.

გენერალ ი. გედევანიშვილი თავის პარტიზანულ პოლკის გარდა აქ მომქმედ სხვა ჯარებსაც ხელმძღვანელობს. ამიტომ იგი მუდამ უნდა იჯდეს სენაკის შტაბში, სადაც ყოველმხრიდან ცნობები მოდის ჯარების მოძრაობის შესახებ და სხვა და სხვა განკარგულებებს თხოულობენ, მაგრამ ეს შრომის მოყვარე და მტკიცე რწმენის გენერალი შტაბში ჯდომას არ კმაყოფილდება. ყოველ დილით ცხენით მიემგზავრება ხან ერთს ადგილას, ხან მეორეს და პირადად ნახულობს, რაც გაკეთებულა და რაც გასაკეთებელია. შტაბში ბრუნდება ღამ-ღამობით, ბევრჯელ ნაშუაღამევის 3 საათზეც. ხშირად აფრთხილებენ მას, საშიშია ეგრე მარტო ღამ-ღამობით სიარული ამ ტყიან და მთა-გორიან ადგილებშიო, მაგრამ უშიშარი მამულიშვილი თავისას განაგრძობს.

როცა ღამით ბრუნდება, კითხულობს აუარებელ დეპეშას, ტელეფონოგრამას და მოხსენებას, ყველაფერზე პასუხს ამზადებს და მხოლოდ მაშინ იძინებს, ისიც მცირე ხნით. დილა ადრიან კიდევ მიეშურება იმ ადგილს, სადაც უფრო საჭიროა მისი ყოფნა და პირადი ხელმძღვანელობა.

ამიტომ უყვართ იგი თავის პარტიზანებს ამიტომ ჰპოულობს იგი განსაკუთრებულ პატივისცემას იმ ჯარებშიც, რომელნიც დღეს მის განკარგულებაში არიან. ი. გედევანიშვილი როდია ჩვეული რიახიანის მყვირალა ბრძანებათა გაცემას. მას უყვარს საქმის მტკიცედ შესრულება, რის მაგალითსაც მუდამ თვით იძლევა.

მეც ვსარგებლობ შემთხვევით, გენ. ი. გედევანიშვილს თანა ვსდევ აქეთიქით და ვეცნობი აქაურ მდგომარეობას. სექტემბრის 5-დე ვსდიე მას და შემდეგ ჩამოვრჩი, რადგანაც საგაზეთო მასალა მომიგროვდა და საჭირო იყო წერილების დაწერა და დროზე გამოგზავნა.

გენ. ი. გედევანიშვილი სექტემბრის 5-ს დილით გავიდა სენაკიდან დღესაც არ დაბრუნებულა. სჩანს, იგი გაერთია საქმეებში და სხვა და სხვა ადგილს ნახულობს. ზოგი შიშობს, გზაზე ხომ არა შეემთხვა-რაო.

გენერალ კონიაშვილის და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით სახალხო გვარდიაც განაგრძობს სოფელ-სოფელ სიარულს და წესიერებას ამყარებს. დაწვრილებით ცნობები გვარდიის მოქმედების შესახებ ამ ჟამად ხელთ არა მაქვს. რამდენიმადაც ცნობა მოდის, გვარდიას შეიარაღებული შეტაკება ჯერჯერობით არსად მოსვლია.

ძველი პოლიციელი და პროვოკატორი ნესტორ ჯოჯუა, რომელიც ამას წინად შეიპყრეს მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისა და აჯანყების მეთაურობისათვის, სენაკში ჰყავთ დამწყვდეული. იგი სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა.

სენაკს ნელ ნელ ჩამოდიან ის პირნი, რომელთა ქონებაც აჯანყებულით გაუტაცნიათ. დაზარალებულთა რიცხვი არც ისე ცოტაა. ესენი არიან ხონიდან, ძველ სენაკიდან და სხვა ადგილებიდან. ზოგიერთ დიდ სოფლიდან აჯანყებულთ ტომრებითა და ურმებით გაუზიდნიათ ხალხის ქონება. განზრახულია, აჯანყების მეთაურთა ქონების კონფისკაცია მოახდინონ და იმით რამდენადმე აუნაზღაურონ უდანაშაულოდ დასჯილთ თავისი ზარალი შუამდგომლობა შესაფერ ნებართვის მისაღებად უკვე აღძრულია მთავრობის წინაშე.

რ ბ ლი

(შემდეგი იქნება)

# პასუხად ქ-ნ ნინო ზურაბიშვილისას

გაზეთ „გრუზიის“ მე-7 ნომერში მოთავსებულმა ქ-ნ ნინო ზურაბიშვილის წერილმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ მასწავლებელთა წრეებში.

აღშფოთება, რომელსაც ქონდა ადგილი ჩვენში, კანონიერი და სამართლიანიცაა, რადგან წერილს შინაარსი თავისი გადამახინჯებული ფაქტებით სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს და მასთან ყოვლად შეუწყნარებელია ის კილო, რომლითაც ავტორი მოუგმართავს.

საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსებზე წაიკითხეს ეს წერილი და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში გამოირკვა რომ მისი ავტორი, რომელიც გმობს ნაციონალიზაციის იმ სახით გატარებას, როგორც ეს ჩვენმა მთავრობამ მიიღო და ეროვნულმა საბჭომ დაადასტურა, გაბრაზებული საერთოდ დემოკრატიული მთავრობის მოქმედებით, საერო განათლების სამინისტროს უწმაწური სიტყვებით უმასპინძლდება. რასაკვირველია, ჩვენი დაცვა განათლების სამინისტროს არ ესაჭიროება; მაგრამ რაკი წერილის ავტორი ცდილობს გააკრიტიკოს სამინისტროსაგან განზრახული სკოლების რეორგანიზაცია და ნაციონალიზაცია, ამიტომ საჭიროთ ვთლით საზოგადოების საყურადღებოთ განვაცხადოთ და ფარდა ავხადოთ ქ-ნ ნინო ზურაბიშვილის ღვარძლიან გულს და მის ფარულ ზრახვებს.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა თვით გაზეთ „გრუზიის“ შესახებ. გაზეთის რედაქცია ამავე ნომრის მეთაურში იწონებს ქ-ნ ნინო ზურაბიშვილის წერილს და ამბობს: „ავტორს არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთო“, სჩანს, რედაქცია მის თანამშრომელსავით აზროვნებს. ავტორის თვალ საზრისით ჩვენი სკოლების გაეროვნებისა და სამინისტროს მოქმედების შესახებ „გრუზიის“ თვალსაზრისცაა.

ერთის შეხედვით „გრუზიის“ ასეთი მიმართულება მკითხველებში განცვიფრებას უნდა იწვევდეს, რადგან ნაციონალისტური გაზეთი, რომელიც „ვოზროჟდენიის“ პირმშო შვილად უნდა ჩაითვალოს, სკოლების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ მიდის და მშობლიური ენა ნინო ზურაბიშვილის ენით რომ ვსთქვათ „ნეპრივიჩნი იაზიკ“-ად მიაჩნია. მაგრამ აქ საკითხი ჩვენთვის მეტად მარტივია. „გრუზიის“ ჯგუფი, ეს გადაგვარებული და ყოველივე ქართველურ იერს მოკლებული ხალხი, ვერ ურიგდება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, რომელსაც ერის თავისუფლება, უზენაესობა და შრომელი ხალხის კეთილდღეობა უპირველეს მიზნად დაუსახავს. სწორედ ნინო ზურაბიშვილის წერილიც ამით უნდა აიხსნას საბედნიეროდ, ჩვენში ასეთ ჯგუფს ნიადაგი თანდათან ეცლება და ერთნაირი რყევის შემდეგ მალე ხრამში გადაიჩეხება.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდა დავდგეთ იმ ნიადაგზე, რომელზეც ზემოხსენებული ავტორი სდგას თავის წერილში და მივმართოთ არა საკადრისს საშუალებებს ჩვენი აზრების გამოსახატავად; ჩვენი საპასუხო წერილი იქნება მხოლოდ აგებული იმ ფაქტების უარყოფაზე, რომლებიც ქ-ნ ნ. ზ—ლის წერილში მეტის მეტად დამახინჯებულია.

ავტორი თავის წერილის დასაწყისშივე ილაშქრებს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ და ამბობს, რომ ის (ე. ი. სამინისტრო) ვითომ თავიდან არავითარ ნიშნებს სიცოცხლისას არ იძლეოდა და ბოლოს კი რაღაცა ფუსფუსი დაიწყოო. ჩვენის აზრით, ქ-ნი ზ—ლის ასეთი კადნიერება ყოველ სად მოსაზრებას აღემატება.

ალბად ის არ არის გაცნობილი სამინისტროს იმ მუშაობასთან, რომელიც განუწყვეტლივ სწარმოებდა დღიდან მისი დაარსებისა და სწორედ, როდესაც ერთნაირ წინასწარ მუშაობის შემდეგ გამოიცა კანონი ნაციონალიზაციის შესახებ, ქ-ნი ნ. ზ—ლი შედრკა და განცვიფრებაში მოვიდა: მისთვის მიუღებელი და მასთან მოულოდნელი იყო.

სხვათა შორის სამინისტროს მოქმედების გასაბათილებლად ავტორს მოყავს მასწავლებელთა კურსები, რომლის არსებობა მას მეტად მიაჩნია. ის ამბობს: „რა საჭიროა უნივერსიტეტი, თუ-კი ასეთი კურსები იარსებებსო“

აქ-კი ქ-ნი ზ—ლი იჩენს სრულ უვიცობას კურსების მიზნისა და თვით სისტემის შესახებაც. უნივერსიტეტის მიზანია ცოდნათა გაფართოვება და რასაკვირველია, ასე მოკლე ვადიანი კურსები ამ მიზნებს ვერ დაისახავდა. კურსების უმთავრესი მიზანია ქართველ მასწავლებელთა ერთნაირ გზაზე დაყენება, რომელზეც მსვლელობით ჩვენ მივალთ სკოლების სრული გაეროვნებისაკენ და ამ მხრივ კურსების არსებობა დიდ მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, უკანასკნელი მიზანიც კურსებისა ფრიად რთულია, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ქართველ მასწავლებელთათვის ნაციონალიზაცია სკოლებისა ახალი რამ არ არის, ციდამ ჩამოვარდნილი, როგორც ეს ქ-ნ ზ-ს ჰგონია, არამედ ეს საკითხი კიდევ შარშან იყო მიღებული პრინციპიალურად და ზოგიერთ ადგილებში შემოიღეს კიდეც, ასე რომ ერთი წელიწადი იყო ჩვენს განკარგულებაში, რომლის განმავლობაშიც მასწავლებლები შეძლებისდაგვარად მუშაობდნენ.

წელ-კი ...დ ...ო ...ნსა ...რინ...ციპებ... ...ის ...რ... სიტყვა საქმედ უნდა იქცეს და ასეთ მომენტში შეშინებული ზურაბიშვილები კონსერვატორობას ავიკიჟინებენ.

მაგრამ ზემოხსენებულით არ კმაყოფილდება ქ-ნი ზ—ლი და უნდა ვითომ ფაქტებით დაგვიმტკიცოს კურსების არარაობა და რამდენი ფაქტიც მოყავს იმდენად უფრო აშკარავდება, რომ მას არავითარი წარმოდგენა კურსების მუშაობაზე არა ჰქონია. თუ ასე დაინტერესებული ბრძანდებოდა (წერილის ავტორს უნდა კეთილინება და ერთხელ მაინც მოენახულებია კურსები და მერე კი აეშენებია თავისი წერილი არა ჭორებზე, არამედ უტყუარ ფაქტებზე, რათა თავიდან აეცილებია ის სასაცილო მდგომარეობა, რომელშიც ახლა იმყოფება.

ქ-ნი ზურაბიშვილი უსაყვედურებს კურსების ხელმძღვანელ ორგანოს, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად სახელმძღვანელოების გადათვალიერება, ტერმინოლოგიის დამუშავება, საერთო გეგმის შედგენა გაეროვნებულ სკოლებისათვის კურსების პროგრამაში არ შედისო ეს სიმართლეს არ შეეფერება და უცოდინარეობაზეა აგებული მთელი ჩვენი კურსების მუშაობა სწორედ ამ ჩამოთვლილი საკითხების ირგვლივ ტრიალებდა და აქ კი გვეუბნებიან პროგრამაში არ შედისო! მსმენელთა მთელი შემადგენლობა სექციებად იყო დაყოფილი საგნების მიხედვით და ყოველ სექციაში სწორედ ის საკითხი იხილებოდა, რომელზეც ქ-ნი ზ—ლი თავის წერილში მიგვითითებს ამის დასაჯერებლად, საჭირო იყო, ერთხელ მაინც შემოეხედა ავტორს კადეტთა კორპუსის შენობაში, სადაც ის უეჭველად ასეთნაირ მუშაობას წააწყდებოდა.

მაგრამ ავტორი წერილისა არც კურსების გაკრიტიკებით კმაყოფილდება და პირდაპირ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებს. პირველი მისი მოსაზრება გახლავს ის, რომ სკოლების ნაციონალიზაცია გადაჯგუფებას მოითხოვსო და ეს უკანასკნელი-კი მას შეუძლებლად მიაჩნია რადგან ზოგიერთ მოწაფეებს შორის მოუხდებათ სიარულიო.

აი ნამდვილი საბუთი, თუ გნებავთ გადაჯგუფებისა და ნაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ! ნუ თუ ქ-ნ ზ—ს, რომელიც დარწმუნებულია სამინისტროსაგან მიღებულ სკოლების რეორგანიზაციის უვარგისობაში, მეტი საბუთი ვერ მოუყვანია!

მაგრამ ქვევით ცდილობს უარყოს ნაციონალიზაციის წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით და ამბობს: „ქართველი მასწავლებლები არ გვეყოფიანო, რადგან არ არის საკმარისი მარტო გვარების ჩამოთვლაო“.

მადლობას უძღვნით განმარტებისათვის; ჩვენც ვიცით, რომ მარტო ქართველური გვარი არ არის საკმარისი მასწავლებლისათვის, მაგრამ, ვაცხადებთ, რომ ასე გადაგვარებული მასწავლებლები, ჩვენ, საბედნიეროდ, ნაკლებათ გვყავან.

შემდეგ ქ-ნ ზ-მა უნდა მიაქციოს აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება იმასაც, რომ ბევრ ადგილას, თანამედროვე მდგომარეობის გამო ქართველი მასწავლებლები განთავისუფლდებიან, როგორც მაგალითად: ბათომიდან, ყარსიდან, ბაქოდან, განჯიდან, ერევნიდან. შუშიდან, თემირხანშურიდან და აგრეთვე მთელ ჩრდილო კავკასიიდან, ასე რომ ტყუილად სწუხს ავტორი მასწავლებელთა რიცხვის ნაკლებობაზე!

სხვათა შორის.

ქ-ნი ზ—ი ნაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ ეხება პედაგოგიურ საბჭოებს და ამბობს: „ეს ისეთი ოჯახებია, რომელთა დარღვევაც არაა პედაგოგიურიო“. არ გვესმის რომელ პედაგოგიკაზეა აქ ლაპარაკი?!.

ნუ თუ პედაგოგიური საბჭოების ახლანდელი შემადგენლობა ისეთ ტკბილ და განუყრელ ოჯახს წარმოადგენს, რომლის დარღვევაც სასწავლო საქმეს ზიანს მოუტანს?!..

აბა გვითხარით, რა პრინციპზეა აშენებული ეს ოჯახები? რა აქვთ მათ საერთო? სად არის სალი პედაგოგიკა დაცული? მართალია, გადაჯგუფება როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა, არის ერთნაირი ცრუ რსებულ პედაგოგიურ ოჯახების დანგრევა, მაგრამ, სწორედ ყალბ საფუძველზე აგებულ ოჯახებისა აბა გვითხარით, თუ როგორ დგებოდა ეს საბჭოები? რუდოლფის კალმის მოსმით, რომელმაც, კარგი ხანია უკვე განისვენა...

დასარღვევი რაც არის, უნდა დაირღვეს, და მის ნანგრევებზე აღმოცენდეს ნამდვილი, საღი, ერთსულოვანი პედაგოგიური ოჯახები, თორემ ახლანდელ გიმნაზიებში, რომლებიც ერთნაირ ბაბილონის გოდოლს წარმოადგენს, მუშაობა ყოვლად შეუძლებელია.

ამავე წერილში ავტორი უსაყვედურებს ქართული ენის მასწავლებელთ, რომ მათ ვერ ჩაუნერგეს მოწაფეებ სათანადო სიყვარული სამშობლოსადმი. აშკარაა, ამით ქ-ნ ზ—ს უნდა საზოგადოების თვალში ქართული ენის მასწავლებელთა დამცირება, რადგან ამის მიზეზს თვით მასწავლებლებში ეძებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ავტორს. საზოგადოდ არ უყვარს ღრმად ჩახედვა საკითხში და მიზეზებს ამიტომ ყოველთვის თვალის წინ ეძებს, თორემ ცოტათი რომ ჩაკვირვებოდა, დარწმუნდებოდა, რომ მასწავლებლები არც ისე დამნაშავენი არიან, როგორც ამას ქ—ი ზ—ი გაიძახის განა შესაძლებელი იყო ქართული ენის სწავლება გიმნაზიებში სასურველ დონეზე ყოფილიყო დაყენებული! ნუ თუ არ იცის ავტორმა, თუ როგორ იყო გიმნაზიებში დევნილი სამშობლო ენა ან თუ რამდენი გაკვეთილი ქონდა მას დათმობილი? ან და როგორი პროგრამები იყო? და განა ყველა ამაში მასწავლებელნი იყვნენ დამნაშავენი! საბედნიეროდ, ის მიზეზები უკვე მოისპო და სწორედ ახლა გვაქვს სრული შეძლება ნამდვილი, საღი ქართული სკოლები დავაარსოთ.

დასასრულ, ქართველ მასწავლებლობას ხმოლოდ ერთი-ღა დარჩენია: გამოსთქვას თავისი სინანული იმის შესახებ რომ კიდევ არიან ჩვენში ზურაბიშვილები და მათი მიმდევრები, რომლებიც გაჟღენთილი არიან ანტიდემოკრატიული იდეებით და კრიჭაში უდგანან ყოველ ახალ საქმეს და ლამობენ მის ძირშივე მოსპობას. მაგრამ ურჩევთ ასეთებს ტყუილად ნუ კარგავენ თავის ენერგიას რადგან ხალხი მათ საკმარისად იცნობს და ამიტომ ყოველივე ცდა ამაოდ ჩაუვლის.

ამას ვაცხადებთ ჩვენ საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსების მსმენელების სახელით, რომელსაც გაცილებით მეტი კავშირი აქვთ ქართველ ხალხთან, ვიდრე ქ-ნ ზ—ს და მის თანამოაზრე „გრუზი“-ის ჯგუფსაც.

ამხანაგების დავალებით: გრ. ლორთქიფანიძე, პლ. კვირკველ ა, თ. ბეგიაშვილი.

P. S. შეცდომების გასწორება. გაზეთის მე-25 ნომერში მოთავსებულ წერილში სათაურით „მოწაფეთა გადაჯგუფება“, მასწავლებელთა რიცხვის შესახებ არის შეცდომები, რომლებიც ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს შევასწორო. იქ სადაც სწერია 419 უნდა იყოს 643 და სადაც სწერია 273 უნდა იყოს 497.

წერილის ავტორი.

## ცხოვრების სინამდვილიდან

4.

ჩვენ ვიცით ისეთი ოჯახები, ისეთი ადამიანები, რომელთაც თითქოს ცოტა შემოსავალი აქვთ, იმდენად ცოტა, რომ მშიერ-მწყურვალნი უნდა იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა ოჯახშიც არაფერს იკლებენ, არც რიგიან ჩაცმა-დახურვას გაურბიან და არც დროების ტარებას, თეატრებში თუ გასართობებში სიარულს სხვებზე ნაკლებად ეწევიან...

მაგრამ ჩვენ ვიცით ისეთი ოჯახებიც, ისეთი ადამიანებიც, რომელთაც თითქოს დიდი შემოსავალი აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა ყველაფერი დაკლებული აქვთ, რიგიან ცხოვრებას მოკლებული არიან; მუდამ ჩივიან და სტირიან ..

პირველი კატეგორია ანგარიშით, თავიანად ცხოვრობს, მეორე—უთავბოლოდ, უანგარიშოდ...

ჩვენი „ბრწყინვალე წოდება“ ანგარიშს არ უწევდა შემოსავლის და გასავლის დამოკიდებულებას, ცხოვრობდა ფართო ფართოდ და ხელგაშლილად ვიდრე მისი ავლადიდება შეძლებას იძლეოდა და ასეთ შეუფერებელ ცხოვრებას მიჰყავდა მისი წარმომადგენლები ადგილ-მამულების და საზოგადოდ მთელი ქონების ხელიდან გამოცლამდის.

ბევრ მდიდარ ოჯახებს ბოლოს ღუპავდა პური გახდომით სანატრელი და ამის მიზეზად ყოფილა უზომო ხარჯება, შეუსაბამო გასავალი, დიდი წვეულებანი და სადილები...

ერთი სიტყვით, ვისაც სურს რიგიანად და ადამიანურად იცხოვროს, საოცარი ნახტომები თავიდან აიშოროს, უზომო თავდაუწყებების ლხენა-ქეიფიდან უზომო გაჭირვებაში არ ჩავარდეს; მან აუცილებლად თავის რესურსებს ანგარიში უნდა გაუწიოს, დავთრებში ჩაიხედოს, გაიგოს თუ რა აქვს, რომ ამის და მიხედვით შესაფერი ცხოვრება ატაროს...

თუ ეს ასეა კერძო ადამიანის და ოჯახის ცხოვრებაში, ასევეა სახელმწიფოს ცხოვრებაშიც, მით უმეტეს თანამედროვე მსოფლიო ომის ხანაში, როდესაც საქონლის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა შეზღუდულია და უმეტეს შემთხვევაში თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თვითოეულს უხდება თვისი რესურსებით და ბუნებრივი პირობების შესაძლებლობით.

ყველაზე ადრე, თითქმის ომის დასაწყისის პირველ დღეებიდანვე მიწოდების და მოთხოვნილების რეგულიარიზაციას, საქონელთა ფიქსაციას და მათი განაწილებას გერმანიამ მიაქცია დიდი ყურადღება და საუცხოვოდაც დააყენა საქმე. სწორედ ამით აიხსნება მეტ წილად იმედების გაცრუება გერმანიის ოთხი თვის განმავლობაში გამოფიტვის შესახებ და თითქმის მთელ მსოფლიოსთან ოთხ წელს ასე ვაჟკაცურად ომის წარმოება..

იქ კარგად იციან, თუ ვის რამდენი გოჭიანი ღორი ყავს, რამდენი კვერცხის მდებელი ქათამი, რამდენი ბოთლი რძის მწველელი ძროხა; კარგად იციან, ვის რამდენი ბოსტნეული უნდა მოუვიდეს, ვის რამდენი ხორბლეული და სხვა და სხვა.

ასეთი სტატისტიკური ცნობები მართველ წრეებს შეძლებას აძლევს გაანაწილოს ყოველივე ეს გერმანიის მცხოვრებთა შორის იმ რიგად, რომ ხალხი არ დაიმშეს და თან ერთს არ ექმნეს საშუალება ძალიან მაძღარი იყოს, მეორეს კი—კუჭი მიმხმარი ჰქონდეს ..

არსებობს ნორმა და ამ ნორმის ფარგალში მომწყვდეულია ყველა დიდი და პატარანი ამა ქვეყნისანი. ეს ნორმა სავსებით ვერ აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყველა უზრუნველყოფილია, რომ ასეთ ნორმას არც ხვალ იქნება მოკლებული.

იქ ყველა გრძნობს ამ ზომების საჭიროებას, დარღვევა ვერავის გაუბედნია და ყველა დარწმუნებულია, რომ ამას მოითხოვს ქვეყნის და, მაშასადამე, მათი ინტერესებიც.

ერთი სიტყვით, იქ სახელმწიფომ იცის, რისი მქონეა, რამდენი ხალხი ყავს სარჩენი და ამის და მიხედვით უნაწილებს ნიშნავს.

იქ უკვე ყველაფერი აწყობილი, და ლაგებულია...

ამიტომ არის, რომ 70—80 მილიონიან გერმანიას საქართველოდან, მისი მოკავშირე სახელმწიფოდანაც კი ეძნელება 150—200 მოწაფე ახალგაზდების მიღება; ამოდენა სახელმწიფოს უმძიმს 200 მჭამელის მიმატება და თან დაწყობილ სისტემაში არევ-დარევას ერიდება.

ჩვენ კი ვიცით საერთოდ რა გვაქვს, ან ვის რა აქვს კერძოდ. ვინ გვყავს სარჩენი, სანამდის გვეყოფა ჩვენი ავლადიდება, როგორი ნორმა უნდა არსებობდეს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სიმშილით არ ამოვწყდეთ?..

არაფერი ამის მსგავსი!..

ქართლ-კახეთში კარგი მოსავალი იყო, იმერეთში კარგი მოსავალი იქნებოდა. მაგრამ ჯერ-ჯერობით ვიცით მხოლოდ ის, რომ მოსავლის მეტი წილი უკვე გარეშე ელემენტების, ჩვენთან მტრულ განწყობილებაში მყოფ ელემენტთა ხელში გადავიდა

ნორმალურია ეს?

რასაკვირველია, არა!.

თვითოეული ჩვენგანი მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და დღეს თუ გვაქვს 5 ფუთი პური და გვყავს 10 ინდაური ძმა-ბიჭების და მეგობრების გამასპინძლებას, ასეც რომ იყვნენ, არ შეუშინდებით

ხვალ, შეიძლება, ჩვენ თვათონ ტომრით ხელში საკი-დავად ფქვილის ძებნა დავიწყოთ, მაგრამ დღეს ხომ ქართველური გულ-ღიობა გამოვიჩინეთ მამა-პაპური პურ მარილი, სტუმართმოყვარეობა, დროს ტარება, ლხინი, ქეიფი და მაგარი გამოძღომა, —ყოველივე ეს, შეიძლება, მისაღები და მოსაწონი იყო; ამის დრო კიდევ დაგვიდგება, მაგრამ დღეს, როდესაც სხვა ქვეყნები არაფერს გვაწვდის და იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმით, რაც თვითონ ჩვენა გვაქვს,—ძველ ჩვეულებებს თავი უნდა დავანებოთ და დავიცვათ ზომიერება და კიდევ ზომიერება...

ჩვენ, ყოველივე ზომიერების მტრებს, პირველ ხანებში მაინც ძალიან გაგვიჭირდება ნორმის დაცვა ნებაყოფლობით, შეგნებით, ცხოვრების სინამდვილის და აუცილებლობის ზედაწოლითაც... ამიტომ აუცილებლად საჭიროა შემოვიღოთ ის, როგორც იძულებითი, ძალ-დატანებითი ზომა..

რასაკვირველია, იმ სახით, როგორც ეს გერმანიაში ტარდება, ჩვენში ჯერჯერობით შეუძლებელი იქნება, მხოლოდ დღევანდელ საზოგადო კრიზისის ხანაში, თუ ეხლავე რაიმე ზომები არ მივიღეთ ყოველ შემთხვევაში სანოვაგის საკითხის მოწესრიგების საქმეში,—დიდი სიფრთხე მოგველის

ნორმა უნდა დაწესდეს, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. სოფლად იმიტომ, რომ დაუტოვოთ მას ის, რაც სჭირია, დანარჩენი კი სახელმწიფოს გადავცეთ; ქალაქს უნდა მივსცეთ იმდენი, რამდენსაც ნამდვილი საჭიროება მოითხოვს.

როდესაც სოფელში დამკვიდრდება მტკიცე და ნდობით აღჭურვილი ადმინისტრაცია და თან რამდენიმე შეგნებული პირი ხალხს ნათლად განუმარტავს დღევანდელ რთულ მდგომარეობას და მათი სწორ ინტერესებს, ვფიქრობ, თვით სოფელი დაავალებს მის მიერ არჩეულ კომისიას ნორმაზე ზედმეტი სანოვაგის გამორკვევას და ჩამორთმევას სახელმწიფოს სასარგებლოდ სოფლისთვის საჭირო საქონელზე გადაცვლით

რაც შეეხება ნორმას, მისი შემუშავება სოფლისთვის მაინც პირველ ხანებში დიდის კომპრომისით მოგვიხდება; მაგალითად, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ დაახლოვებით შემდეგი ფორმულით:

$(n+1) X + n_1 X + n_2 X_2$). $400 + d$, სადაც $n$, $n_1$ და $n_2$ ოჯახში ადამიანთა, ორ-ფეხთა და ოთხ-ფეხთა რიცხვია; $X$, $X_1$ და $X_2$—მათი დღიური ნორმა; $d$ კი სათესლედ საჭირო რაოდენობა. როგორც ფორმულიდან სჩანს, მივდივარ შემდეგ კომპრომისებზე: ადამიანთა რიცხვს ერთს უმატებ,—ესე იგი ვღებულობ, რომ ოჯახს ყოველ დღე ერთი ზედმეტი მჭამელი, ვსთქვათ სტუმარი ყავს? გარდა ამისა წელიწადს 400 დღედ ვანგარიშობ, ე. ი. 35 დღეს უმატებ.

ასე გულუხვად ნაანგარიშევი ნორმა სოფლისთვის, რასაკვირველია სრულიად საკმარისი იქმნება; მხოლოდ ამაზედ ზედმეტი ჭირნახული რომ ნახვრეტებში არსად გაძვრებოდეს და სახელმწიფოს ხელში გადვიდოდეს, მისი მდგომარეობაც უზრუნველყოფილი იქმნება...

მაშ, ჩვენი ბედ-იღბალი ჩვენ ხელთ ყოფილა!.

აქ მხოლოდ ხაზებია ნაჩვენები, დეტალური განხილვა ამ წერილის საგანს არ შეადგენს.

მე მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა აუცილებლობა ზომიერებისა, რაიმე განსაზღვრულ ნორმისა; მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ უანგარიშობა, უთავბოლობა, უზომო ხარჯი, ლხინი და ქეიფი, მოსავლის ხელიდან გაშვება და გინიავება ისედაც მცირე ავლა-დიდებისა ასეთ სერიოზულ და კრიტიკულ მომენტში, ყველას მომაკვდინებელ ცოდვად ჩაგვეთვლება; მე მსურდა მხოლოდ მიმექცია მთავრობის და საზოგადოების ყურადღება სასწრაფო ზომების და ღონისძიებათა აუცილებლობაზე და საჭიროებაზე:

პილატესავით ხელის დაბანა და უყურადღებობა ასეთ საჭირო საქმეში კი ყოვლად შეუწყნარებელია, ვინაიდან ეს იმის მსგავსი იქმნება, გემის უფროსმა რომ აბობოქრებულ ზღვაში იმედი დასწმიდოს და გემის ბედ-იღბალი ტალღების გიჟურ ცეკვას ჩააბაროს...

ინჟ ვ. კაკაბაძე

## ქართველ ექიმთა საყურადღებოდ

ამა წლის ოქტომბრის კვირას 1 საათზე ქ. ტფილისში მოხდება შეერთებული კრება ტფილისი ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების და ქუთაისის საგუბერნიო ქართველ ექიმთა კავშირისა წეჩრიგი კრების იქნება შემდეგი: 1) საკითხი ხსენებულ ორი საზოგადოების მოქმედების შეთანხმებისა და გაერთიანების შესახებ. 2) საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა და ბუნების მეტყველთა ყრილობის მოწვევისა. წაკითხულ იქნება პროგრამა ყრილობისა 3) მოხსენება ექ. ი. თიკანაძის ქართულ საექიმო და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის შესახებ. 4) მოხსენება ექ. ალ. დიასამიძისა —სტატისტიკური ცნობები ქართველ ექიმთა რაოდენობის შესახებ. 5) საკითხი ქართული საექიმო და საბუნების მეტყველო ჟურნალის გამოცემისა 6) სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვები.

შენიშვნა 1: ვისაც სურს რაიმე მოხსენება წარმოადგინოს ხსენებულ კრებაზე, საჭიროა წინასწარ აცნობოს მოხსენების სათაური ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მდივანს, ექ. მ. წინამძღვრიშვილს არა უგვიანეს 12 ოქტომბრისა. შენიშვნა 2: ქუთათურ ამხანაგების ჩამოსვლის გამო აღძრული იქნება შუამდგომლობა, რომ მათ დაეთმოს ცალკე ვაგონი ქუთაისიდან ტფილისამდე და უკან. შენიშვნა 3: ყოველივე ცნობები განზრახული კრების შესახებ მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ექ. მ. წინამძღვრიშვილისაგან

მდივანი ქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების, ექ. მ. წინამძღვრიშვილი. მისამართი ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 7.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმ** ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭკების ავადმყოფობა ავადმყ მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი** ქალი რ. ზ. შიშლო.-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმმა** დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სად. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03 2010

**ექიმი** წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ტელ. 11—35. 2001

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 სათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** მ. ზ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქ. № 19. 992

**ექიმი** ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. აკვალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საჯარო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

**ექიმი** ნ. ი. მახარაძე იღებს სპეციალურად მალარიით ... მისი შედეგებით დასნეულებულთ ... ნაკლულევანებით, გულის, ფილტვის ... ბით და სხვ. შინაგან სნეულებ... ყოველ დღე საღამოს 5—... ქინიზაცია და მასსაჟი. მისამართი ... კოვის ქ. № 11.

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა ... იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—... მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი, № 14

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის ყურის, ყელის და ცხვირის ... ულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ... 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათ... № 7 ტელეფონი 17—49.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. მოთი 5—8 ს. ქალების მიღება ... კვირაობით მხოლოდ დით მიხაი... სახელი სასტუმრო „ნოეს“ პირდა...

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (... ნის დოქტორი მიუნხენის ... ვერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, ... მებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ... კოლხის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის ... ქის გვერდით. 908

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულის და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ... სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა ... რისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. ... დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 270

**თვალის სამკურნალო მუდმივი სავადმყოფო ექიმ დოიხიძისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ... ლოს კინო-თეატრის მახლობლად და საოპერაციო ავადმყოფები სრული ... სიონითაც მიიღებიან.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ... დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის, ...
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების საშარდისა.
ბ. ზ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურის ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი 9—11 საკ... ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი

**კერძო სამკურნალო**
სპეციალისტ ექიმებისა
მომსვლელ ავადმყოფთათვის
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე ექიმების მიერ:
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალ... სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—...
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—...
გ. მ. რეკვავა შინაგანი ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ... ლიზის მოხდენა.
მისამართი: ერეკლეს ქ № 6 ... ხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი.

სოციალისტური და ხალხის ... პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: ფუთი 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი 199, ტელეფონი 12—29.